

ოჯახთან დაკავშირებული წარმოდგენები და მისი დანიშნულება
ქალის პერსპექტივიდან

თამარ გამყრელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ოჯახი ინდივიდის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ქართულ კულტურაში ერთ-ერთი მთავარ ღირებულებას წარმოადგენს. კოლექტივისტურ კულტურაში იგი ისეთ შემადგენელ კომპონენტად განიხილება, რომელიც სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. ოჯახის შექმნით ინდივიდი პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს და ამასთანავე, თვითრეალიზდება, იძენს სტატუსებს და ირგებს ახალ როლებს.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ოჯახთან დაკავშირებულ წარმოდგენებსა და შეხედულებებს, რომლებიც განხილულია დაოჯახებული ქალების პერსპექტივიდან. ძირითადი საკითხები ეხება ოჯახის არსის გაგებას ქართლ რეალობაში, რა როლს თამაშობს იგი ქალის ცხოვრებაში და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას.

კვლევისას გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფი, რომელმაც კარგად გამოკვეთა საკვლევი საკითხები და თემები, ნათელი სურათი შექმნა აღნიშნული საკითხების ირგვლივ. არსებული მასალები კი მიმოხილულია სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორიული მიდგომით.

კვლევამ გამოკვეთა, რომ დაოჯახებული ქალები თავს უფრო რეალიზებულად გრძნობენ, ვიდრე დაუოჯახებლები. ანალიზიც სწორედ ამ თემის ირგვლივაა გაერთიანებული. აღმოჩნდა, რომ ოჯახი ქალებს მარტოობის დაძლევაში ეხმარებათ, იღებენ ისეთ სიკეთეებს, როგორიცაა შვილი, პასუხისმგებლობის განაწილება და ა.შ. კვლევის შედეგად გამოიკვეთება ოჯახთან დაკავშირებული ისეთი თემები,

როგორებიცაა პასუხისმგებლობა, ზრუნვა, ოჯახისთვის თავგანწირვა, რომელიც ამასთანავე ქალს სრულყოფილი თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს.

ოჯახის ინსტიტუტი თავისი არსით რთული და საინტერესო ფენომენია. სოციოლოგიისთვის, განსაკუთრებით კი ოჯახის სოციოლოგიისთვის ოჯახი საკვლევად მნიშვნელოვანი თემაა, რადგან ყველა ეპოქასა თუ თაობაში მისი შესწავლა სიახლის მომცემია, რადგან მუდმივად იცვლება ფასეულობები და ღირებულებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ოჯახი, რეალიზაცია, სახელმწიფო, მსხვერპლშეწირვა, ზრუნვა, პასუხისმგებლობა, სრულფასოვნება.

Abstract

Family is an important part of individual's life and is one of the main values of Georgian culture. In collectivist cultures, it is considered as an element that meets a variety of needs. Creating family means to fulfill requirements of society and at the same time, to fulfill yourself, to acquire new status(es) and new roles.

This master thesis deals with family-related perceptions and beliefs that are discussed from the perspective of married women. Key issues are understanding of family in Georgian context, the role it plays in a woman's life and how she can benefit from it.

The study adopted qualitative research methods, namely, in-depth interviews and focus groups. These methods helped to shed light on main questions and themes. The findings are interpreted using Structural functionalist approach.

The study reveals that married women feel more fulfilled than single. Analysis has mainly been built upon this theme – self-fulfillment. It was found that family helps women to deal with solitude and receive benefits, such as child, shared responsibilities, etc. Some important themes that emerged from data - responsibility, care, self-sacrifice – are considered as phenomenon which contribute to the full self-realization of a woman.

The family is a complex and interesting social institute. It's an important phenomenon to study by sociologists, as it might help to trace ongoing changes of norms and values in contemporary society.

Main keywords: family, self-fulfillment, the state, sacrifice, care, responsibility